

შრომის ხელშეკრულების დაცვის გარანტიების გვერდის ავლა შრომის
სამართალში

ბექა ნამორაძე

*ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კერძო (ბიზნეს)
სამართლის ფაკულტეტის მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად*

კერძო (ბიზნეს) სამართალი

ხელმძღვანელი: ამირან მეშველიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანოდო წესების შესაბამისად.

ბექა ნამორაძე

6.07.2015 წ.

აბსტრაქტი

საქართველოს შრომის კოდექსში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების მიუხედავად კვლავ რჩება პრობლემური საკითხები. ნაშრომში განხილულია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით დასაქმებულთა უფლებრივი მდგომარეობა.

საზოგადოების მნიშვნელოვან ფენას მშრომელი ადამიანები - დასაქმებულებიწარმოადგენენ, რომლებიც ქმნიან დოვლათს და ხელს უწყობენ ქვეყნის სტაბილური ეკონომიკური მდგრადობის შენარჩუნებას.

კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში სახელმწიფოებრივი ჩარევის მინიმალიზაცია არ შეიძლება გახდეს სამოქალაქო საზოგადოების დაუცველობის სინდრომი. სახელმწიფო ერთის მხრივ უნდა შეეცადოს საკანონმდებლო აქტებით არ შეასუსტოს ბიზნესის თავისუფლად განვითარება, ხოლო მეორეს მხრივ დაიცვას თავისი მოქალაქეები მონური შრომისაგან ან სოციალური არათანასწორობიდან მდიდარი დამსაქმებლების მხრიდან. სამაგისტრო ნაშრომში ყურადღება გამახვილებული იქნება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებზე და ხელშეკრულების შეწყვეტისას დასაქმებულის უფლებრივ მდგომარეობაზე.

სამაგისტრო ნაშრომი „შრომის ხელშეკრულების დაცვის გარანტიების გვერდის ავლა შრომის სამართალში“შესრულებული 53 კომპიუტერულ ნაბეჭდ გვერდზე. ნაშრომი მოიცავს შესავალს, ტექსტის ძირითად ნაწილს სამი თავისა დახუთიქვეთავის შემადგენლობით.

შესავალში მოცემულია საკვლევი თემის აქტულობა და კვლევის მიზნები.სადიპლომო ნაშრომის ძირითად ტექსტში ყურადღება გამახვილებულია.

შრომითი ურთიერთობების არსსა და განვითარებაზე.
შრომის ხელშეკრულების დაცვის გარანტიებზე, შრომის საკანონმდებლო
რეგულაციებზე და დასაქმებულის უფლებების დაცვა საზღვარგარეთის ქვეყნებში;
ასევე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით შრომითი ხელშეკრულების
შეწყვეტის საფუძვლებზე და დასაქმებულის უფლებების დაცვის გარანტიებზე.

Abstract

Despite of the amendments to the Labour Code of Georgia, there are still some problematic issues left. The work discusses a legal status of the jobholders, employed in accordance with the current legislation of Georgia.

Working people – employees - are the significant part of the society, creating wealth and supporting maintenance of the country's economic sustainability.

Minimization of the State interference with private legal relations should not develop into an inobservance syndrome of the civil society. On the one hand, the state should make no effort to weaken free business development by means of legislative acts, and on the other hand – it should defend its citizens from exploitation of labour or social inequalities by rich employers. The Master's thesis will highlight the basis of terminating an employment contract and a legal status of employee in case of its abatement.

The Master's thesis - 'guarantees of protecting employees' labour rights and their prevention in the Labour Code' consists of an introduction, three chapters and five subchapters as the main part of the text.

The introduction presents actuality and research goals of the study. The main part of the diploma thesis highlights the essence and development of labour relations, guarantees of protecting an employment contract, labour law and defending employee rights in the foreign countries; also, the basis of terminating an employment contract and guarantees of protecting employee rights according to Georgian law in force.